საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გიორგი გზობავა</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„ 24 “ აპრილი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **არჩილ კოჭლამაზაშვილის** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2025 წლის 24 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **არჩილ კოჭლამაზაშვილის** კანდიდატურის წარდგენას.

ჩემ მიერ აღნიშნული კანდიდატის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის - **არჩილ კოჭლამაზაშვილის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი - **არჩილ კოჭლამაზაშვილი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით, **არჩილ კოჭლამაზაშვილი** ჩემ მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **90 (90%)** ქულით *(იხ. ჩემი 2025 წლის 14 აპრილის შეფასება).*

არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურის წარდგენაზე ჩემ მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ კანდიდატი **არჩილ კოჭლამაზაშვილი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **985 ქულით**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **89,55%**, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რა, რომ კანდიდატი - **არჩილ კოჭლამაზაშვილი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს** და მისი კანდიდატურა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას, მხარს ვუჭერ **არჩილ კოჭლამაზაშვილის** კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა